

ოქმი № 8

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 10 აგვისტოს სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ

საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი, რ. ბანცური, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე.

სათათბირო ხმის უფლებით: ნ. ფარცვანია (ინსტიტუტის დირექტორი).

საბჭოს მდივანი ლ. გოგოლაური

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ინსტიტუტის შენობის ირგვლივ შექმნილი ვითარების შესახებ
2. ინსტიტუტის სტატუსის შესახებ

მოისმინეს. ნ. ფარცვანიამ საბჭოს გააცნო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის წერილი, სადაც იგი მიმართავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადასცეს ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის I და III სართულები შესაბამისად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნულ სააგენტოს და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს პროტესტი ინსტიტუტისათვის შენობის დიდი ნაწილის ჩამორთმევის გამო ყოველგვარი ახსნისა და შეთანხმების გარეშე.

მოისმინეს. ნ. ფარცვანიამ საბჭოს აცნობა, რომ განზრახულია აგრეთვე ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიერთება, და რომ ამ თემაზე მას უკვე ჰქონდა შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან გ. ხუბუასთან.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ინსტიტუტმა გამოიყენოს თვითგამორკვევის უფლება მონიჭებული კანონით

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, 2005-12-23

მუხლი 2

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ამ კანონით გათვალისწინებული ყველა ორგანიზაციული პროცედურის, მათ შორის, მართვის ორგანოების არჩევის, დასრულების შემდეგ (რაც ხდება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშნვიდან 6 თვის ვადაში) უფლებამოსილია გამოიყენოს თვითგამორკვევის უფლება, კერძოდ, დარჩეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, მისთვის განკუთვნილი ქონებითა და დაფინანსებით იქცეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ან სხვა საჯარო სამართლის იურიდიული

პირის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემადგენელ ერთეულად.

და კენჭი უყაროს საკითხს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარჩენის შესახებ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

დაადგინეს. საბჭოს სხდომას ესწრებოდა საბჭოს 10 წევრი. ათივემ მხარი დაუჭირა ინსტიტუტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარჩენას.

საბჭოს თავმჯდომარე

თორნიკე ქაღვიშილი

საბჭოს მდივანი

ლ. გოგოლაური